

შპს სიემიქს სოლუშენს-ის ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

20 სექტემბერი 2024 წელი

თბილისი

შინაარსი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე	3
დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე	5
შპს სიემიქს სოლუშენს-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7
შპს სიემიქს სოლუშენს-ის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8
შპს სიემიქს სოლუშენს -ის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9
შპს სიემიქს სოლუშენს -ის კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ...	10
შპს სიემიქს სოლუშენს -ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11
• ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ	11
• მომზადების საფუძვლები	11
• ფუნქციონირებადი საწარმო	11
საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	12
ფინანსური ინსტრუმენტები	13
გადასახადები	15
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16
შემოსავლები	16
აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად	17
ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები	17
ახალი სტანდარტები დ ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა	18
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი	18
შპს სიემიქს სოლუშენს-ის 2023 წლის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	19
ძირითადი საშუალებები	19
1. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	20
2. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20
3. სასაქონლო, მომსახურებისა და სხვა კრედიტორული დავალიანება	20
4. შემოსავლები	20
5. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	21
6. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ	21
ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	22
სავალუტო კურსები	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს სიემიქს სოლუშენს-ის დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

▪ მოსაზრება

ჩავატარეთ შპს სიემიქს სოლუშენს-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს სიემიქს სოლუშენს-ის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

• მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს სიემიქს სოლუშენს-ისაგან, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

• სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

- **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს სიემიქს სოლუშენს-ის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს სიემიქს სოლუშენს-ის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს სიემიქს სოლუშენს-ის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

- **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავვეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს სიემიქს სოლუშენს-ის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე

დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს სიემიქს სოლუშენს-ის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს სიემიქს სოლუშენს-ი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო. რაც აუდიტის ჩატარების მომენტისათვის არ გამოვლენილა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია მხოლოდ ერთ დებიტორს ემსახურება და მისი შემოსავალი სრულად დამოკიდებულია ამ კონტრაგენტზე - არსებობს რისკი იმისა, რომ CMX SOLUTIONS GMBH-ის მხრიდან კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში კომპანიის ფუნქციონირებადობის საკითხი ეჭვს ქვეშ დადგეს. აქვე აუცილებელია გავითვალსწინოთ, რომ მსგავსი რისკი კომპანიის ხანგრძლივი ოპერირების პერიოდში არ დამდგარა. თუმცა ჩვენ როგორც აუდიტორები ვალდებულნი ვართ ყურადღება გავმახვილოთ ამ საკითხზე.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მათთან, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახოზაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“

(აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

ოთარ ახოზაძე

20 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახოზაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“

(აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

ოთარ ახოზაძე

20 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

Handwritten signature in blue ink.



შპს სიემიქს სოლუშენს-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა 31 დეკემბერი 2023 31 დეკემბერი 2022

აქტივები		ლარი	ლარი
ფული და ფულის ექვივალენტები	2	6 167 515	6 144 062
სავაჭრო მოთხოვნები	1	7 457 027	8 477 644
გადახდილი ავანსები		84 879	826 662
სხვა აქტივები		165	165
ძირითადი საშუალებები		466 859	249 167
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში(ობლიგაციები)		3 881 021	
სულ აქტივები		18 057 466	15 697 700
ვალდებულებები			
გადასახდელი ხელფასები		71 572	96 910
სავაჭრო ვალდებულებები	3	322 296	21 748
საგადასახადო ვალდებულებები		8 273	107 582
სხვა ვალდებულებები		13 277	25 800
სულ ვალდებულებები		415 419	252 041
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		17 642 047	15 445 659
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		17 642 047	15 445 659
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		18 057 466	15 697 700

(თანხები მოცემულია ლარში)

დირექტორის მინდობილი პირი

თამარ წვიმიტიძე

შპს სიემიქს სოლუშენს-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
31 დეკემბერი 2023 31 დეკემბერი 2022

აქტივები	ლარი	ლარი
ფული და ფულის ექვივალენტები	6 167 515	6 144 062
სავაჭრო მოთხოვნები	7 457 027	8 477 644
გადახდილი ავანსები	84 879	826 662
სხვა აქტივები	165	165
ძირითადი საშუალებები	466 859	249 167
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში(ობლიგაციები)	3 881 021	
სულ აქტივები	18 057 466	15 697 700
ვალდებულებები		
გადასახდელი ხელფასები	71 572	96 910
სავაჭრო ვალდებულებები	322 296	21 748
საგადასახადო ვალდებულებები	8 273	107 582
სხვა ვალდებულებები	13 277	25 800
სულ ვალდებულებები	415 419	252 041
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	17 642 047	15 445 659
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	17 642 047	15 445 659
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	18 057 466	15 697 700

(თანხები მოცემულია ლარში)

დირექტორის მინდობილი პირი
თამარ წვიმიტიძე

ბ. წვ. პ. ი. რ

20 სექტემბერი 2024

შპს სიემიქს სოლუშენს-ის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნეტო ამონაგები			
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	4	12 946 802	10 844 718
საერთო მოგება		12 946 802	10 844 718
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება		(5 467 889)	(3 532 301)
ცვეთა და ამორტიზაცია		(112 243)	(44 812)
საპროცენტო შემოსავალი		144 567	158 907
იჯარის ხარჯი		(282 739)	(165 396)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	5	(5 329 793)	(5 223 755)
სულ საოპერაციო ხარჯები		(11 048 097)	(8 807 356)
საოპერაციო მოგება		1 898 704	2 037 362
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		304 829	(1 843 645)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(6 223)	(4 498)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		2 197 310	189 219
მოგების გადასახადი		(921)	(466)
მოგება/(ზარალი)		2 196 389	188 753
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		2 196 389	188 753

(თანხები მოცემულია ლარში)

დირექტორის მინდობილი პირი

თამარ წვიმიტიძე

მპს სიემიქს სოლუშენს-ის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნეტო ამონაგები		
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	12 946 802	10 844 718
საერთო მოგება	12 946 802	10 844 718
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(5 467 889)	(3 532 301)
ცვეთა და ამორტიზაცია	(112 243)	(44 812)
საპროცენტო შემოსავალი	144 567	158 907
იჯარის ხარჯი	(282 739)	(165 396)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(5 329 793)	(5 223 755)
სულ საოპერაციო ხარჯები	(11 048 097)	(8 807 356)
საოპერაციო მოგება	1 898 704	2 037 362
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	304 829	(1 843 645)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(6 223)	(4 498)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	2 197 310	189 219
მოგების გადასახადი	(921)	(466)
მოგება/(ზარალი)	2 196 389	188 753
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	2 196 389	188 753

(თანხები მოცემულია ლარში)

დირექტორის მინდობილი პირი

თამარ წვიმიტიძე

მ. წიგაძე

20 სექტემბერი 2024

შპს სიემიქს სოლუშენს -ის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის მოგება გადასახადებამდე	2 197 310	189 219
კორექტირება:		
მოგების გადასახადი	(921)	(466)
ცვეთა და ამორტიზაცია	112 243	44 812
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	(304 829)	1 843 645
სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	2 003 803	2 077 210
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/კლება	2 042 083	(3 126 188)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/კლება	164 388	(115 201)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	4 210 274	(1 164 179)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	4 210 274	(1 164 179)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(329 935)	(209 191)
აქციების/ობლიგაციების შეძენაზე გადახდილი თანხები	(3 881 021)	
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(4 210 956)	(209 191)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული	0	0
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(682)	(1 373 370)
საკურსო სხვაობის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულის ნაშთზე	24 136	(660 183)
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	6 144 062	8 177 615
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	6 167 516	6 144 062
(თანხები მოცემულია ლარში)		
დირექტორის მინდობილი პირი		
თამარ წვიმიტიძე		

შპს სიემიქს სოლუშენს -ის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის მოგება გადასახადებამდე	2 197 310	189 219
კორექტირება:		
მოგების გადასახადი	(921)	(466)
ცვეთა და ამორტიზაცია	112 243	44 812
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	(304 829)	1 843 645
სახსრების შემოღინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	2 003 803	2 077 210
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/კლება	2 042 083	(3 126 188)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/კლება	164 388	(115 201)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	4 210 274	(1 164 179)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	4 210 274	(1 164 179)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(329 935)	(209 191)
აქციების/ობლიგაციების შეძენაზე გადახდილი თანხები	(3 881 021)	
წმინდა ფულადი სახსრების გაღინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(4 210 956)	(209 191)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული	0	0
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(682)	(1 373 370)
საკურსო სხვაობის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულის ნაშთზე	24 136	(660 183)
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	6 144 062	8 177 615
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	6 167 516	6 144 062

(თანხები მოცემულია ლარში)

დირექტორის მინდობილი პირი

თამარ წვიმიტიძე

ბ. წვ. პ. ი. ჯ

20 სექტემბერი 2024

შპს სიემიქს სოლუშენს -ის კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	-	15 256 906	15 256 906
შენატანი საწესდებო კაპიტალში	-		
სულ წლის სრული შემოსავალი	-	188 753	188 753
გადახდილი დივიდენდები	-	-	-
ცვეთით რეზერვის კორექტირება			-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	15 445 659	15 445 659
შენატანი საწესდებო კაპიტალში	-		
სულ წლის სრული შემოსავალი	-	2 196 389	2 196 389
გადახდილი დივიდენდები	-		-
ცვეთით რეზერვის კორექტირება			-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	17 642 048	17 642 048

(თანხები მოცემულია ლარში)

დირექტორის მინდობილი პირი :

თამარ წვიმიტიძე

შპს სიემიქს სოლუშენს -ის კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	-	15 256 906	15 256 906
შენატანი საწესდებო კაპიტალში	-		
სულ წლის სრული შემოსავალი	-	188 753	188 753
გადახდილი დივიდენდები	-	-	-
ცვეთით რეზერვის კორექტირება	-		-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	15 445 659	15 445 659
შენატანი საწესდებო კაპიტალში	-		
სულ წლის სრული შემოსავალი	-	2 196 389	2 196 389
გადახდილი დივიდენდები	-	-	-
ცვეთით რეზერვის კორექტირება	-		-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	17 642 048	17 642 048

(თანხები მოცემულია ლარში)

დირექტორის მინდობილი პირი :

თამარ წვამიტაძე

მ. წვამიტაძე

20 სექტემბერი 2024

შპს სიემიქს სოლუშენს -ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ

შპს სიემიქს სოლუშენს დაარსდა 2016 წლის 2 ივნისს და მდებარეობს საქართველოში.

ძირითადი საქმიანობა - კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს ქოლ-ცენტრის მომსახურება. კერძოდ, მრავალენოვანი ქოლ-ცენტრის საშუალებით მომსახურებას უწევს მსხვილ საერთაშორისო კომპანიას. ორიენტირებულია შემომავალ ზარებზე და ელექტრონული კორესპონდენციის დამუშავებაზე.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა - კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 71, საოფისე ფართი N2, სართული1, ბლოკი III .

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია თბილისი, საიდანაც ოპერირებს საერთაშორისო ბაზარზე.

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში. „კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

- მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული ადრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

საგადასახადო კანონმდებლობა. „კომპანია“ თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

- ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ „კომპანია“ წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და უახლოეს პერიოდში არ იგეგმება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

სამუშაო ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

შენობა-ნაგებობები	20 წლამდე
მანქანები და მოწყობილობები	5 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5 წლამდე

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება შემოსავალში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.

შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება. ყოველწლიურად და ყოველთვის, როცა არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ასეთი არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, ხდება მისი ღირებულების შეფასება და გაუფასურების გამოვლენის შემთხვევაში აღირიცხება როგორც გაუფასურების ზარალი.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება მოიცავს მარაგების შემენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით. საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, კომპანიას გასაყიდად გამიზნული მარაგები არ გააჩნია.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

კომპანიამ 2023 წლის დეკემბერში შეიძინა შპს თეგეტა მოტორს-ის მიერ გამოშვებული ობლიგაციები 6.75%-იანი განაკვეთით ღირებულებით 1 309 000 EUR.

აღიარების შეწყვეტა

კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

„კომპანიას“ ფინანსური ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გააჩნია.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს

„კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი უნდა აისახოს მათი გაწევის პერიოდში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად. „კომპანიას“ 2023 წლის მდგომარეობით არ გააჩნია სასესხო ვალდებულებები და შესაბამისად სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები.

გადასახადები

მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად, მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- ▶ თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების

გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

► დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული

ღირებულების გადასახადს.

„კომპანიის“ მიერ მისი დამკვეთისათვის გაწეული მომსახურება განთვითხურებულია დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით, სსკ-ის მუხლი 162.1 , მუხლი 172 - ის შესაბამისად. რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანიას მომსახურების მიწოდებისას არ ქვს ვალდებულება დღგ-ის გადახდის, ხოლო ამ მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე შეუძლია დაიბრუნოს ბიუჯეტიდან დღგ.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულის ნაშთებს საბანკო ანგარიშებზე. კომპანია ანგარიშსწორების ნაღდ ფორმას არ იყენებს.

შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი ინვოისით. ვინაიდან „კომპანიის“ დამკვეთი არ წარმოადგენს რეზიდენტ საწარმოს, მომსახურების მიწოდებაზე საგადასახადო დოკუმენტის გამოწერა არ ხდება.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. შემდეგი ახალი ან შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები ძალაში 2023 წლის 1 იანვარს შევიდა, მაგრამ მათ მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ფასს 17- სადაზღვევო კონტრაქტები
- ▶ ბასს 8 -ს ცვლილება - სააღრიცხვო დაშვებების განმარტება
- ▶ ბასს 1 -ცვლილება - სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტება

► ბასს 12-ს ცვლილება - გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებსა და ვალდებულებებს, საერთაშორისო გადასახადების რეფორმა - პილარ 2 მოდელის მიხედვით

ახალი სტანდარტები დ ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე, თუკი ისინი კომპანიას მიესადაგება. მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნებათ კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

► ფასს 16-ის ცვლილება - საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას;

► ცვლილებები ბასს 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად; გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით

► მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებები - ცვლილებები ბასს 7-ში და ფასს 7-ში.

► ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები: აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი

დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ დებიტორი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა.

კომპანიაში დებიტორული დავალიანების რეზერვი არ იქმნება, ვინაიდან არ არსებობს ვარაუდი იმისა, რომ დებიტორული დავალიანების მიღება ვერ მოხდება.

კომპანიის მხრიდან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დებიტორული დავალიანების ვადიანობის საკითხი განხილულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ, რა დროსაც მოხდა სხვადასხვა ხელშეკრულებების შესწავლა და დადგინდა, რომ დებიტორული დავალიანების არსებობა განპირობებულია საქმიანობის სპეციფიკით და **ამ მხრივ რაიმე საგადასახადო რისკი არ იკვეთება**. ამას მოწმობს “კომპანიის” მხრიდან ჩვენთვის მოწოდებული შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

შპს სიემიქს სოლუშენს-ის 2023 წლის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საშუალებები

2023 წლის განმავლობაში, „კომპანიის“ ძირითად საშუალებებზე რიცხული აქტივების მოძრაობა მოცემულია ცხრილში:

	ელექტრონული მოწყობილობა და კომპიუტერები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2022	200043	51126	25858	277026
შესყიდვა	209192			209192
ჩამოწერა	(3432)			(3432)
ღირებულება 31 დეკემბერი 2022	405803	51126	25858	482786
შესყიდვა	201142	85560	43233	329935
ჩამოწერა	(10793)			(10793)
ღირებულება 31 დეკემბერი 2023	596152	136686	69091	801928
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2022	(133298)	(44738)	(14201)	(192238)
ცვეთის ხარჯი	(34592)	(2909)	(3881)	(41382)
ჩამოწერილის ცვეთის განულება				
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2022	(167890)	(47647)	(18082)	(233620)
ცვეთის ხარჯი	(85722)	(16743)	(9777)	(112242)
ჩამოწერილის ცვეთის განულება	10793			10793
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2023	(242819)	(64390)	(27859)	(335069)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2022	66 744	6 388	11 657	84 788
31 დეკემბერი 2022	237 912	3 479	7 776	249 167
31 დეკემბერი 2023	353 332	72 296	41 232	466 860

1. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	7 457 027	8 477 644
სულ სავაჭრო მოთხოვნები	7457027	8477644

2. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	981615	193 531
ფული სადეპოზიტო ანგარიშებზე	5185900	5 950 531
სულ ფული და ფულის ექვივალენტი	6 167 515	6 144 062

მიმდინარე ანგარიშები განთავსებულია სს საქართველოს ბანკში

3. სასაქონლო, მომსახურებისა და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	322 296	21 748
სულ სავაჭრო ვალდებულებები	322 296	21 748

4. შემოსავლები

	2023 წელი	2022 წელი
მომსახურება 0%-იანი დღგ-ით (გერმანიაში გაწეული)	12 946 802	10 844 718
სულ შემოსავალი	12 946 802	10 844 718

5. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2023 წელი	2022 წელი
მივლინების ხარჯი	14 707	17 297
სამეურნეო ხარჯი	43 310	23 336
საპენსიო შენატანის ხარჯის ანგარიში	99 781	63 620
კომუნალურის ხარჯი	39 981	25 031
ტაქსის ხარჯი	7 367	8 007
კომპიუტერის ხარჯი	21 574	29 481
საკანცელარიო ხარჯი	1 607	2 459
კომუნიკაციის ხარჯები	33 901	27 471
ვებ გვერდით მომსახურების ხარჯი	9 693	14 285
რეკლამის ხარჯი	63 950	50 175
საფოსტო ხარჯი	103	135
საოფისე ხარჯი	12 359	8 368
მონაცემთა დამუშავებისა და სისტემური უზრუნველყოფის მომსახურება	4 760 892	4 875 622
საბუღალტრო მომსახურება	28 800	28 800
იურიდიული მომსახურება	9 692	9 600
აუდიტორული და სხვა საკონსულტაციო ხარჯი	117 859	
საგადასახადო ხარჯი	3 580	1 670
ბანკის ხარჯი	15 634	16 136
წარმომადგენლობითი ხარჯი	19 486	2 342
სხვა საერთო ხარჯი	25 518	19 920
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	5 329 793	5 223 755

6. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- **საკრედიტო რისკი:** დანაკაგრის ალბათობა იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

- **ლიკვიდურობის რისკი:** რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.

- **საბაზრო რისკი:** რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით.

ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი

- სავალუტო რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	12/31/2023	12/31/2022
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულადი ექვივალენტები	6 167 515	6 144 062
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7 457 027	8 477 644
სულ ფინანსური აქტივები	13 624 542	14 621 706
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	322 296	21 748
სულ ფინანსური ვალდებულებები	322 296	21 748

ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

(ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ ცხრილებში მოცემულია ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ოპერაციები:

	შემოსავალი	საოპერაციო ხარჯები
სხვა დაკავშირებული მხარე	12 946 802	4 760 892
შესაბ. მუხლის მთლიანი თანხა	12 946 802	4 760 892

ნაშთები:

		31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური ანგარიშგების მუხლი	ურთიერთობა	ნაშთი დაკავშ. მხარეებთან	ნაშთი დაკავშ. მხარეებთან
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები/გადხდილი ავანსი	საერთო დამფუძნებელი	286 956	(779 587)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო დამფუძნებელი	7 457 027	8 477 644

სავალუტო კურსები

სავალუტო კურსები	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
1 აშშ დოლარი (USD)	2.6894	2.7020
1 ევრო (EUR)	2.9753	2.8844

დოკუმენტის დასასრული

შპს სიემიქს
სოლუშენს-ის
მმართველობითი ანგარიშგება და 2023 წლის საქმიანობის მიმოხილვა

თან ერთვის

დამოუკიდებელი
აუდიტორის
მოსაზრება

✓ საქმიანობის მიმოხილვა

შპს „სიემიქს სოლუშენს“-ი ქართულ ბაზარზე ოპერირებს 2016 წლიდან. კომპანია წარმატებით მოღვაწეობს თავის სფეროში და აფართოებს საქმიანობას, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება დასაქმებულ პირთა რაოდენობის ზრდაზე.

კომპანიამ 2023 წლის ბოლოს განახორციელა ინვესტირება შპს თეგეტა მოტორსი-ს ობლიგაციებში **EUR 1 309 000 (3 881 000 ლარის)** ოდენობით.

კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია **კრისტოფ ებნერი, P 5976478, U 4456464 /ავსტრია/**.

შპს სიემიქს სოლუშენს ემსახურება გერმანულ კომპანიას CMX SOLUTIONS GMBH -ს. მომსახურებას ყიდულობს სომხური კომპანია CMX SOLUTIONS YEREVAN-საგან. ერევნის ოფისთან თანამშრომლობა შეწყდა 2023 წლის ბოლოს და კომპანიამ დავალიანება სრულად დაფარა 2024 წელს. კომპანიის საქმიანობაა ქოლ ცენტრის მომსახურება.

CMX SOLUTIONS GMBH (გერმანია) ხელშეკრულებებს აფორმებს არარეზიდენტ კომპანიებთან მომსახურების მიწოდებაზე, ხოლო ამ მომსახურების მისაწოდებლად თანამშრომლობს ჩვენი, შპს სიემიქს სოლუშენს- თან.

2023 წელს ჩვენი ოპერატორები წარმატებით მოემსახურნენ ისეთი კომპანიების მომხმარებლებს, როგორიცაა :

- Mytoys
- Hermes
- HSE
- Zalando
- Walz
- Medion



✓ მომსახურების ცენტრები

ჩვენი მთავარი ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 71, საოფისე ფართი N2, სართული1, ბლოკი III . ოპერატორებს შესაძლებლობა აქვთ

ზარებს მოემსახურონ როგორც ჩვენი ოფისიდან, ისე ოფისის გარედან დისტანციურად.

კომპანიამ 2023 წლიდან გახსნა ახალი ოფისი, იმავე ლოკაციაზე, რადგან მოსალოდნელია დამკვეთის მიერ შეკვეთების გაზრდა და შესაბამისად ახალი ოპერატორების მომზადება დღის წესრიგში აქტიურად დადგა.

ჩვენი ოპერატორების ძირითად მიზანს მომხმარებელთათვის მომსახურების მიწოდების გამარტივება და ხარისხი წარმოადგენს. მომსახურების დელეგირების სწორი სისტემა მნიშვნელოვნად ამცირებს მომხმარებლების დროს და ამ პროცესში ჩართული თანამშრომლები მუდმივად ხელმძღვანელობენ მომსახურების საერთაშორისო აღიარებული სტანდარტით. ასევე ვახდენთ მომსახურების პროცესში ჩართული პოზიციების საქმიანობის პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებიდან გამომდინარე თანამშრომელთა წახალისებას.

ჩვენი ოპერატორების მიერ მიწოდებული მომსახურება ასევე ფასდება ინფორმაციის მიმღები მხარეების მიერ, რის მიხედვითაც ხდება თანამშრომელთა შეფასება.

✓ სამომავლო გეგმები

კომპანიის მიზანია ყოველწლიურად გაზარდოს ბაზრის წილი და აქტიურად გაიმყაროს პოზიცია მის სფეროში. იგი აქტიურად მონაწილეობს სამომავლო სტრატეგიულ მიმართულებებზე. 2024 წლიდან კომპანია გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ემსახურება AKOM International-ის ზარებს, რაც ხელს უწყობს ჩვენი პოზიციების უფრო გამყარებას ბაზარზე.

ოპერატორები პერიოდულად გადიან სწავლებას, გადამზადებას და მორგებას მომხმარებელთა ინტერესებზე, ვინაიდან კომპანიის შემოსავალი სწორედ ამ ფაქტორებიდან გამომდინარეობს.

კომპანიის გრძელვადიან მიზნებზე დასაქმებულთა რაოდენობის მკვეთრი ზრდაც მიუთითებს, თუ კომპანიაში 2022 წლის იანვარში დასაქმებული იყო 119 თანამშრომელი, 2023 წლის ბოლოს მათი რიცხვი 258 -მდე გაიზარდა. აღნიშნული ზრდა რა თქმა უნდა დამკვეთის მოთხოვნების პირდაპირპროპორციულია.

✓ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

შპს „სიემიქს სოლუშენს“-ი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) საკითხს და განიხილავს მას როგორც გრძელვადიან პროგრამას და საქმიანობის განუყოფელ ნაწილს.

- ✓ კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად და წარმატებით აწვითარებს CSR სტრატეგიას, რაც გამოიხატება თანამშრომელთა სამუშაო გარემო-პირობების გაუმჯობესებასა და მათ ჯანმრთელობაზე ან/და დასვენებაზე ზრუნვით. განახლებულია საოფისე და კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი, თანამშრომლები ჩართული არიან სადაზღვევო პროგრამაში კორპორატიული პირობების გათვალისწინებით.
- ✓ კომპანია მნიშვნელოვან დღესასწაულებზე საკუთარ თანამშრომლებს სთავაზობს გარკვეულ წამახალისებელ/სამოტივაციო სიურპრიზებს, რაც რა თქმა უნდა დადებითად აისახება საბოლოოდ კომპანიის გრძელვადიან მიზნებზე.
- ✓ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სტანდარტების დასაცავად გატარებული ღონისძიებები
- ✓ კომპანიაში შექმნილია ჯგუფური/ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელიც აუცილებელია შრომის უსაფრთხო პირობების შესაქმნელად, რაც შესაბამისი რეგულაციით მოითხოვება. შრომის უსაფრთხოების კონტროლისთვის კომპანია იყენებს დამატებით მომსახურების მიმწოდებელ კომპანიას, რომელიც პერიოდულად ამოწმებს კომპანიაში შრომის უსაფრთხოების დონესა და მის შესაბამისობას აღიარებულ სტანდარტებთან. კომპანიას აქვს მუდმივი მზაობა საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს შრომის პირობების გაუმჯობესება.
- ✓ კომპანიის მენეჯმენტი სრულად ჩართულია შრომის უსაფრთხოების სისტემების განვითარებასა და ოპერირებაზე.
- ✓ კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის შემოსავალმა მისი ძირითადი საქმიანობიდან, 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შეადგინა 12,946,802 ლარი, რაც რომ შევადაროთ გასულ 2022 წლის მონაცემს 10,844,718 ლარს - 19 %-იანი ზრდის მაჩვენებელია. ჩვენი კომპანია დამკვეთს მომსახურების ინვოისს უფიქსირებს EURO ვალუტაში. ქვემოთ მოყვანილია მაჩვენებლები რომელიც ასახავს 2023 და 2022 წლების შემოსავლების დინამიკას ევროსა და ექვივალენტით ლარში.

შემოსავლის ცვლილების დინამიკა 2021-2022 წლები

წელი	შემოსავალი EURO	შემოსავალი GEL
2022	3 784 136	10 844 718
2023	4 520 854	12 946 802

პატივისცემით,

დირექტორის მინდობილი პირი

ბ. წიგნაძე

თამარ წვიმიტიძე